ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2255711

ნომერი: AR1349460

თარიღი : 15.10.2015

გაცემის თარიღი : 22.10.2015

გაცნობის თარიღი : 22.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 49-51-51ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როზა ოსადჩუკი პ/ნ 01007016919
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 47

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1349460 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით აკ. წერეთელის გამზირი N49-51-51ა-ში სავენტილაციო და გაზის მილების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 16 ოქტომბერს #AR1348741 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა

მოქალაქე ქართლოს მაისურაძემ და მოითხოვა განიავების მიზნით ფრამუგა და ვიტრაჟის ტონირებული მინების ჩვეულებრივი ღია მინებით შეცვლის ნებართვა,
ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული
წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული. ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, შესაბამისად სამსახურის მიერ 2012-2015 წლების ინფორმაცია
გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
